

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის

ბრძანება №02612/21

2018 წლის 15 მარტი

ქ. თბილისი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ქვემდებარეობისათვის მიკუთვნებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 93-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-10 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის და 26² მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილის და 240-ე მუხლის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამტკიცებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის მე-2 პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2018 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №101315/21 - ვებგვერდი, 21.12.2018წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ქვემდებარეობისათვის მიკუთვნებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თანდართული ფორმა შემდეგი დამცავი ნიშნებით:

- ა) ექსკლუზიური ნუმერაცია, რომელიც ანათებს ულტრაციფერ სხივებში;
- ბ) ექსკლუზიური გილიოშური ბადე;
- გ) წყლის ნიშანი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ლოგოტიპი);

დ) მიკროშრიფტი, სადაც იკითხება „სახელმწიფო აუდიტის სამსახური“.

მუხლი 2

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ქვემდებარეობისათვის მიკუთვნებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, გარდა საქართველოს ორგანული კანონებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა, ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს აუდიტის განმახორციელებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხელე.

მუხლი 3

საქართველოს ორგანული კანონებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხელე.

მუხლი 4

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში პარტიის ან/და პირის ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშები) ყადაღის დადებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

მუხლი 5

ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2003 წლის 6 აგვისტოს №48ორგ ბრძანება „საქართველოს კონტროლის პალატის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის დამტკიცებისა და ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ და 2012 წლის 16 იანვრის №9/37 ბრძანება „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ქვემდებარეობისათვის მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე საქმისწარმოების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“.



მუხლი 6

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
გენერალური აუდიტორი

ერეკლე მექვაბიშვილი

